პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი ხუთშაბათი 9 აპრილი № 83 (18025) ფასი 2 კაპ.

ხარისხი ყველას საზრუნავია!

უშუალოდ სანგრევზე...

ჭიათურა. (საკ. კორ.). — მტვირთავი მანქანის მემანქანე ს. აბრამიშვილი ყოველდღიური ნორმის გადამეტებით 20-25 ტონა მანგანუმის მადანს ტვირთავს, ხოლო მბურღავი მ. ჩინჩალაძე 2 მეტრის ნაცვლად 2,5 მეტრი სანგრევის გაბურღვას ასწრებს, — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი ჭიათურის დამიტროვის სახელობის მაღაროს პარტიული კომიტეტის მდივანმა ლ. გამყრელიძემ.

ჩინებულად ააწყო საქმე ახალი ხუთწლედის სტარტიდანვე მაღაროთა-სამმართველოს მესამე საწარმოო უბანმა, რომელსაც ა. ბადურაშვილი თავკაცობს. ცვლაში გასულის წინ მაღაროელებს იგი დღის დავალებას უსახავს, ხოლო შემდეგ კონკრეტულად ამოწმებს, ვინ რისი გაკეთება შეძლო, ან რა დააკლო. ამან ხელი შეუწყო იმას, რომ უბანმა ვადამდე შეასრულა პირველი კვარტალის დავალება და ასობით ტონა ზეგეგმითი მანგანუმის მადანი გაუგზავნა მამდიდრებელ ფაბრიკას. მთავარი მაინც ის არის, რომ უშუალოდ სანგრევზე ხდება მადნის პირველადი გამდიდრება, რითაც ნედლეულის ხარისხი 8,5 პროცენტით გაუმჯობესეს. ეს მარილაც სანაქებო შედეგია და მათი მუშაობის გამოცდილება ყველა უბანზე და ცვლაში უნდა დაინერგოს.

Ო. ნიქაბაძე.

რა მოგვცა რეკონსტრუქციამ?

ცნობილია, თუ რარიგ ალმავლობის გზით ვითარდებოდა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკა მეათე ხუთწლედში. საქართველოს მშრომელთა ესოდენ დიდი წარმატება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის შეუნელებელმა ბრძოლამაც განაპირობა. ამ მიმართულებით ჩვენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ერთ-ერთი პირველი ადგილი დავიჭიროთ.

ეს სწორია, მაგრამ სწორია ისიც, რომ ამ დიდ საქმეში ყველა საწარმოო კოლექტივს არ შეუტანია ერთნაირი წვლილი. პროდუქციის ხაარმედოობისათვის ბრძოლა მთელ რიგ საწარმოთა ხელმძღვანელებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა მთავარ საზრუნავად არ ეაიხადეს და ამიტომ არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

მათ შორის გახლავთ თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“. სახელმწიფო ხარისხის ნიშნით აღნიშნული პროდუქციაჲ აქ... ნოლს უდრის. ახა წარმოიდგინეთ, როგორ გამოიყურება კომბინატის კოლექტივი იმათ ფონზე, ვინც ეს მაჩვენებელი ოთხზოც პროცენტამდეც კი აიყვანეს?

ჩვენ ვიცით, რომ კამვოლ-მაუდის კომბინატი წლების განმავლობაში მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. დაბალი იყო წარმოების კულტურა და მთელ ამედებს მის რეკონსტრუქციაზე ამყარებდნენ.

თუმცა საწარმოს რეკონსტრუქციას მეათე ხუთწლედის დამდეგიდან შეუდგნენ, იგი მაინც ძალიან გაგვიანურდა. ხუთი წლის განმავლობაში (განა ეს დასაშვები იყო?) კომბინატის განახლების პროექტი არაერთხელ გადასინჯა. თავდაპირველი გეგმით რეკონსტრუქცია სამ წელიწადში უნდა დამთავრებულიყო და ამას 14,6 მილიონი მანეთი უნდა მოხმარებოდა. შედეგობში ამ ციფრმა 19 მილიონ მანეთს გადააჭარბა და, ცხადია, რეკონსტრუქციის დამთავრებას ვადებმაც გადმოიწია. ახეა თუ ისე, დღეისათვის ოფიციალურად რეკონსტრუქცია დამთავრებულია. დიახ, დამთავრებულია ოფიციალურად და არა ფაქტობრივად! მოსაგვარებელი, დასამონტაჟებელი და გასაწყობი კვლავ ბევრი რამ დარჩა. ვარაუდობენ, რომ ამ საქმეს წლის ბოლომდე დაადგება ბაშველი. ვნახოთ, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების იმედს კომბინატში წარმოების კულტურის ამაღლებაზე, რეკონსტრუქციის დამთავრებაზე ამყარებდნენ. მაშ თუ ასეა, როგორ მოხდა, რომ პროექტში ნახსენები მეურნეობის, მთავარი მექანიკოსის განყოფილების, ენერგეტიკის განყოფილების და საქვაბის რეკონსტრუქცია არ გაითვალისწინეს, რატომ დაავიწყდათ, რომ ეს რგოლები წარმოების ჯაჭვის შემადგენელი ნაწილებია?

სპეციალისტებმა, ხხვათა შორის, კარგად იციან, რომ ნედლეულის მაღალი ხარისხის შენახვა-ჩუნებლად სახაწყობო მეურნეობის მოგვარებას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. სახაწყობო მეურნეობა, თუ გნებავთ, წარმოების თავია და საქმეც აქედან უნდა დაეწყოთ.

კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ა. ნასიძემ გვითხრა, 'მატყლის დამხარისხებელი და მატყლის პირველადი დამუშავების ფაბრიკებიდან დაბალი ხარისხის ნედლეული მოდიხო. მერე და განა შეიძლება ისეიც უხარისხო ნედლეული ცუდ საწყობში შეინახო და მისგან მაღალი ხარისხის ნართს ელოდო?

სახიადმოვნა ის ფაქტი, რომ კამვოლ-მაუდის კომბინატის ახალი ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს ხმარობს შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ-ჟამად საწარმოში საპატიო ხუთკუთხედის მოსაპოვებლად ოთხი სახეობის ქსოვილი მოუმზადებიათ. ამ ქსოვილებისათვის რეპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამხატვრო საბჭოს მიუცია რეკომენდაცია და ამედოვნებენ, რომ ისინი მალე გაივლიან სათანადო ატესტაციას. წელს აქ 1.800 ათასი მანეთის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვებას ვარაუდობენ. ხუთწლედის დამლეგამდე ეს ციფრი 10 მილიონ მანეთამდე უნდა გაიზარდოს.

სკკპ XXVI ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი წითელ ზოლად გასდევს. დიდი ყურადღება დაუთმო აგრეთვე ამ საკითხს თავის მოხსენებაში ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ 1981 წლის 19 მარტის პარტიული აქტივის კრებაზე. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და ყოველდღიურ საქმიანობაში ამით უნდა ვხელმძღვანელობდეთ.

კამვოლ-მაუდის კომბინატის ხელმძღვანელობამ, პარტიულმა ორგანიზაციამ, მთელმა კოლექტივმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ.

Შ. ამაშუკელი.

□ □

ვიზიტი დამთავრდა

8 აპრილს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ფ. პუია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდა საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

აეროდრომზე სტუმარი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკ. ინფორმ.).

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი — პრაქტიკულ საქმედ!

ყოველი დღე — დამკვრელური!

შაგათოგა გვიჩვენებს!

● ჟუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის ავტომშენებელთა ქარხნის კოლექტივი ფართოდ გამოეხმაურა მოსკოვის მოწინავე საწარმოების ინიციატივას — მოაწყონ 18 აპრილს ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა.

გადაწყდა, რომ ამ დღეს სამუშაოზე გამოვა უკლებლივ ყველა. დამზადდება 230 ათასი მანეთის პროდუქცია, მათ შორის ავტოსაწევარი კაზ-608-ვ, ათი ნახევარმისაბმელი, 30 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები.

ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 9.300 მანეთი. კეთილმოეწყობა საწარმოს ტერიტორია, ავტომშენებელთა ქალაქში მრავალი ხე და ბუჩქი დაირგვება.

● ზესტაფონი. (საკ. კორ.). შრომის დღესასწაულზე, — განაცხადა ჩვენთან საუბარში სამკერვალო ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ლ. ბიწაძემ, — საწარმოს 1.000 მუშა გამოვა სამუშაოდ. მათგან 900 თავის დაზგასთან დადგება და 65 ათასი მანეთის პროდუქციას შექმნის, დანარჩენები საწარმოს ეზოს კეთილმოწყობაზე იქნებიან დასაქმებული.

შაბათობაზე გამომუშავებული ხელფასი მთლიანად ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება.

● ონი. (საკ. კორ.). ჩორდის ბარიტის მაღაროთამმართველოს მშრომელებმა გადაწყვიტეს შაბათობაზე ერთსულოვნად გამოვიდნენ და ეს დღე დამკვრელური შრომით აღნიშნონ. მათი პირობაა 18 აპრილს მთლიანად დაზოგილი მასალებით იმუშაონ და გეგმის გადამეტებით 50 ტონა ბარიტის კონცენტრატი გამოუშვან, ხუთწლედის ფონდში 700 მანეთი ჩაირიცხება, 'სულ კომუნისტურ შრომაში ამ დღეს მონაწილეობას მიიღებს 380 მებარიტე.

შაბათობის დღეს დაასუფთავებენ საწარმოს ტერიტორიას, დარგავენ ხეებსა და ბუჩქებს.

ᲛᲔᲗᲝᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 1,5-ᲯᲔᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲝᲡ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲜᲐᲕᲗᲝᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲡ.

X/ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲔᲑᲘ



ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ

ერთი რეგიონის შუკ-ჩრდილები

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠ?

საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში წლევანდელ ზამთარს ვერ დავივიწყებთ — თბილი და მზიანი ამინდები იყო, თუმცა მარტმა მაინც თავისი ქნა. მაგრამ თოვლი სულ მალე მზემ გაადნო და კვლავ თბილი ამინდები დადგა, რაც მნიშვნელოვნად აჩქარებს ჩაის ფოთლის ვეგეტაციას. თუმცა სუსხის საწინააღმდეგო ღონისძიებანი პლანტაციებში მაინც განხორციელდა. ასე რომ, წელს ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი შეიძლება გაცილებით ადრე დადგეს, ვიდრე შარშან.

მახარაძელმა მეჩაიეებმა ეს კარგად იციან და წელს განსაკუთრებით საგულდაგულო ემზადებიან ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადების ორგანიზებული დაწყებისათვის.

— 93 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი — სახელმწიფოს! — ასეთია მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის საბრძოლო ამოცანა. მეჩაიეები ენერგიულად შრომობენ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. ამთავითვე უყრიან საფუძველს უხვ მოსავალს. რაიონის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობებში, ჩაის ფაბრიკებში, სატრანსპორტო ორგანიზაციებში გაჩაღებულია არაერთგზის ნაცადი კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრება ღვაწლით: ჩაის პლანტაცია-ტრანსპორტი-ჩაის ფაბრიკა!

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის საუკეთესოდ მოემზადნენ ძლითის, ნატანების, შრომის, გურიანთის, მახარაძის, მელექედურის კოლმეურნეობების, ნარუჯის, ნასაკირალის, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეები. გაყვანილია ახალი სალანტაციო გზები, აიგო თავშესაფარი ფარდულები, შეკეთდა ჩაის მიმღები პუნქტები. სამუშაოდ მზად არის ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანები. სრულ წესრიგშია მცირე მექანიზაცია. რეკორდულ მოსავალს გვპირდებიან ცნობილი მეჩაიეები ამირან ტოროლაძე, სანა ქურიძე, მაყვალა თოიძე, იზოლდა ღლონტი. წარჩინებული მეჩაიე ლატავრი სკამკოჩაშვილი ჩაბშულია შეჯიბრებაში გუდაუთელ კოლმეურნესთან აიდა გუმბასთან.

ჩაის ფოთლის მიღება-გადამუშავებისათვის დროზე დაიწყეს მზადება მახარაძის ჩაის საწარმოო გაერთიანების (გენერალური დირექტორი — გ. ბაბილოძე) მუშაკებმა, რომლებმაც მეათე ხუთწლედში სამჯერ გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სამჯერვე მოიპოვეს გარდამავალი წითელი დროშა. მათვე გადაეცათ მეათე ხუთწლედში მუშაობის მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხის სამახსოვრო ნიშანი.

მეთერთმეტე ხუთწლედში გაერთიანების საწარმოები გადააჭარბებენ სულ ცოტა 500 ათას ტონა ჩაის ნედლეულს, ხოლო ხუთწლეულის პირველი წლის სეზონში გამოუშვებენ 24 ათას ტონაზე მეტ ჩაის მაღალხარისხოვან პროდუქციას. სეზონისათვის სანიმუშოდ მოემზადნენ პირველი ჩაის ფაბრიკის (დირექტორი — ფლორიდა თავდებაშვილი) კოლექტივი, სადაც ყველა მანქანა-დანადგარი, ტექნიკა, მიმღები პუნქტები მზად არის ფოთლის მიღება-გადამუშავებისათვის. ასევე ითქმის მეორე ჩაის ფაბრიკაზეც (დირექტორი — ლევან გირკელიძე), სადაც წელს გადამუშავებენ 8.200 ტონა ნედლეულს და გამოუშვებენ 9.700 ათასი მანეთის პროდუქციას.

რა დასამალია, რომ ჩაის ნედლეულის დამზადების სიუხვე დიდად სჭირობს ჩაის ფაბრიკების სადგენერალურმა დირექტორმა ანზორ კილაძემ. — გადაწყვეტილი გვაქვს ყველა ტექნოლოგიური რეჟიმი მტკიცედ დავიცვათ და მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოვუშვათ. ჯერჯერობით ქებას იმსახურებენ ნიგვზიანის ჩაის ფაბრიკის (დირექტორი თ. ეფხოშვილი) მუშაკები, რომლებიც ორგანიზებულად დაიწყებენ ახალ სეზონს, გადაამუშავებენ სულ ცოტა 5 ათას ტონა ნედლეულს.

აღსანიშვნავია, რომ სუფსის ჩაის ფაბრიკის მუშაკები სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ხელმძღვანელების მიმართ. ისინი შეუწყნარებლად აჭიანურებენ ერთადერთი კომბაინის დამზადებას, რომელიც სუფსის ფაბრიკაში უნდა დადგას. სეზონი კარზეა მომდგარი და ჯერჯერობით დაპირებების მეტი არაფერი ჩანს.

ლანჩხუთელი მეჩაიეები დიდ სამდურავს გამოთქვამენ „საქსოფელექტროს“ მუშაკების მიმართ, რომლებიც ნელი ტემპით მუშაობენ ჩაის პლანტაციებში მცირე მექანიზაციისათვის ელექტროგაყვანილობათა სამუშაოების დროზე დამთავრებისათვის, რომ ხელის საკრეფი მანქანები შეუფერხებლად მუშაობდეს.

გაკვირვებას იწვევს ასეთი ფაქტი: ორი წლის წინათ დაიწყეს ლესის ახალი ჩაის ფაბრიკის მშენებლობა. აქაური მეჩაიეები სიხარულით ცას ეწევნენ, მაგრამ რა... მშენებლობა კუს ნაბიჯით მიმდინარეობს, კედლები ჯერ მიწას არ აშორებია; მანქანა-დანადგარები კი კი ალა ხანია მოხდეს და წლებს მანძილზე ღია ცის ქვეშ ყრია, ალაგ გამკითხავი არ არის. ამ საქმით უნდა დაინტერესდნენ გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ მუშაკები.

ᲩᲝᲮᲐᲒᲐᲢᲐᲠᲘᲔᲚᲘ მშრომელები წელს დიდი ენთუზიაზმით ემზადებიან ჩაის უხვი და მყარი მოსავლის მოსაწევად. 14 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი სახელმწიფოს! ეს არის დევიზი ახალ სეზონში მაღალ მთის რაიონის მეჩაიეებისათვის. ეს პატარა ვალდებულება როდია! განსაკუთრებით კარგად მოემზადნენ სოფელ ხიდისთავის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — ა. გოგიბერიძე) მშრომელები, რომლებმაც გონივრულად გამოიყენეს ზამთრის თბილი დღეები. დროულად გაიყვანეს საპლანტაციო გზები, ააგეს თავშესაფარი ფარდულები, ჩაის მიმღები ახალი პუნქტები. ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის მზად არიან სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი ციალა სიხარულიძე, წარჩინებული მკრეფავი თამარ ოსეფაშვილი და სხვები. კარზე მომდგარ სეზონს მომზადებული ხვდებიან აგრეთვე ვანზომლეთის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი იფლია თავაძე) მეჩაიეები. აქ ყველა მოსამზადებელი სამუშაო აგროტექნიკურ ვადებში შესასრულებლ. ასევე ითქმის შუაგანახლებისა და ჩაისუბნის კოლმეურნეობათა მეჩაიეებზე.

წინა წლებთან შედარებით წელს უფრო მუყაითად შრომობენ ჩოხატაურის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების (გენერალური დირექტორი — მ. ქელეტი) მუშაკები. ყველა ფაბრიკაში იგრძნობა შრომითი შემართება. მეორე ჩაის ფაბრიკაში ამჟამად დიდი სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ჩვენ გავესაუბრეთ მემონტაჟეებს, მწერებლებს, რომლებმაც მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ სამუშაოს სეზონის დაწყებამდე მორჩებიან. როგორც აქ ითქვა, ზოგიერთ ჩაის ფაბრიკას აკლია 500 კილოგრამამდე აგრეგატის მილაკები, 1.000 ცალი ღუმლის ფირფიტები, რისთვისაც ამთავითვე უნდა იზრუნონ გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ მუშაკებმა. ჯერჯერობით თითქოს წვრილმანია, მაგრამ, ჩაის ფოთლის მიღება-გადამუშავების სეზონი რომ დადგება, მაშინ ეს დიდ შეფერხებას გამოიწვევს.

ჩაის ფოთლის კრეფისა და მისი მიღება-გადამუშავების სეზონი მოახლოვდა, საჭიროა დარჩენილი დრო გონივრულად გამოვიყენოთ ქართული ჩაის ღირსებისა და სიუხვისათვის.

ბ. ᲩᲘᲮᲐᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

8 **აპრილს** პრაღაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ლიბიის რევოლუციის ხელმძღვანელობის წევრს აბდელ სალამ ჯელუდს, რომელიც მეთაურობს ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირიის საყოველთაო-სახალხო კონგრესის დელეგაციას ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVI ყრილობაზე.

საუბარში, რომელსაც მეგობრული ხასიათი ჰქონდა, შეეხნენ ლიბია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ზოგიერთ საკითხს. (საკ. ინფორმ.).

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

კოსმოსური ძმების ორბიტები

პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის

კოსმოსი პირველი პილოტირებული ფრენის მე-20 წლისთავის წინ კოსმოსურ ორბიტაზე მოხდა დიდი მოვლენა — წარმატებით დამთავრდა საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ეკიპაჟის ფრენა. პროგრამა „ინტერკოსმოსის“ რეალიზაციაში გადადგმულ ამ ახალ ნაბიჯს მიეძღვნა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართული პრესკონფერენცია, რომელიც 8 აპრილს მოეწყო.

ჟურნალისტებთან შესახვედრად მოვიდნენ ეკიპაჟის წევრები — სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვ. ჯანიბეკოვი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კოსმონავტი მკვლევარი ჟ. გურაგჩა, მეცნიერები, კოსმონავტთა მზადების ცენტრისა და ფრენის მართვის ცენტრის ხელმძღვანელები. დარბაზში იყვნენ მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის წევრები, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დ. გოტოვი.

პრესკონფერენციის წამყვანმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგემ ი. ჩერნიაკოვმა სიტყვა მისცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ „ინტერკოსმოსის“ საბჭოს თავმჯდომარეს აკადემიკოს ვ. კოტელნიკოვს.

ახალი საერთაშორისო ეკიპაჟის ფრენა, თქვა მან, მოეწყო იმ დღეებში, როცა საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის ხალხები აღსავსენი არიან განსაკუთრებული პოლიტიკური და შრომითი ენთუზიაზმით, რომელიც გამოიწვია სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVIII ყრილობისა და მონღოლეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვების მე-60 წლისთავის ღირსსაყაულისათვის მზადებამ. ფრენა გახდა დიდი მოვლენა, რომელიც სამარადჟამოდ შევა საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის მეგობრობის მატიანეში.

საერთაშორისო ეკიპაჟის კვლევითი პროგრამა ერთად მოამზადეს საბჭოთა და მონღოლმა მეცნიერებმა „ინტერკოსმოსის“ მონაწილე სხვა ქვეყნების სპეციალისტებთან თანამშრომლობით. უნდა აღინიშნოს პროგრამა „ინტერკოსმოსით“ გათვალისწინებული ექსპერიმენტების სულ უფრო მზარდი პრაქტიკული მიზანმიმართულება. ამ პროგრამის მონაწილე ქვეყნები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კოსმოსური კვლევის შედეგების სახალხო-სამეურნეო გამოყენებას, რასაც საგანგებოდ შეესაბამება საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ეკიპაჟის მიერ შესრულებული ექსპერიმენტების კომპლექსი. მონღოლეთისათვის — აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყნისათვის — განსაკუთრებით საინტერესოა „ბიოსფერო-მონ“ და „ერდემ“ ექსპერიმენტები, რომელთა დროსაც მოხდა მონღოლეთის სხვადასხვა რაიონების ფოტოგრაფირება სახალხო მეურნეობის საჭიროებებისათვის.

საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ეკიპაჟის ფრენისას, აღნიშნა მეცნიერმა, გამოიყენებოდა სამეცნიერო ხელსაწყოები, რომლებიც შეიქმნა როგორც სპეციალურად ამ ფრენისათვის, ისე სოციალისტურ ქვეყნებში შემუშავდა წინა საერთაშორისო ეკიპაჟებისათვის. როგორც ცნობილია, მათ დაადასტურეს თავიანთი ვარგისიანობა. ეს ცხადყოფს პროგრამა „ინტერკოსმოსით“ მოწყობილი კვლევის ერთ-ერთ თავისებურებას — ექსპერიმენტების მემკვიდრეობითობას და ურთიერთდახმარებას, მომდევნო ფრენების დროს სამეცნიერო ხელსაწყოების გამოყენების შესაძლებლობას.

საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის საერთაშორისო ეკიპაჟის ფრენის წარმატებით შესრულებასთან დაკავშირებით ვ. ა. კოტელნიკოვმა აღნიშნა კოსმოდრომის, ფრენის მართვის ცენტრის, საკომანდო-გაზაზომი და საძიებო-მაშველი კომპლექსების სპეციალისტებისა და სხვა კოლექტივების უმაღლესი კლასის მუშაობა, რომლებმაც უზრუნველყვეს ექსპედიციის ჩატარება. კოსმონავტების ვ. ჯანიბეკოვისა და ჟ. გურაგჩის ფრენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პროგრამა „ინტერკოსმოსი“ წარმატებით სრულდება.

ფრენამ დამაჯერებლად ცხადყო მოძმე სოციალისტური ქვეყნების დიდი მიღწევები მშვიდობისა და მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის კოსმოსის ათვისების საქმეში.

ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ეკიპაჟის მეთაური, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი **ვ. ჯანიბეკოვი.** ისევე როგორც ყველა წინა წვეის ექსპედიცია, თქვა მან, ჩვენი მუშაობაც არცთუ ისე ხანგრძლივი იყო—იგი სულ 8 დღეს გაგრძელდა. მაგრამ საბჭოთა და მონღოლი მეცნიერების ერთობლივი მეცადინეობით შემუშავებულ, მეცნიერული, ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტებისა და კვლევის პროგრამას დიდი დაძაბულობა და შინაარსი ახასიათებდა.

ჩვენი ეკიპაჟის მზადება იმით გამოირჩეოდა, რომ მე უკვე მქონდა „სოიუზ“ კოსმოსური ხომალდით და „სალუტ-6“ სადგურით ფრენის გამოცდილება, კოსმონავტმა მკვლევარმა ჟ. გურაგჩამ კი კოსმონავტიკისა და კოსმოსური ტექნიკის საფუძვლების შესწავლით დაიწყო მზადება. ამის მიუხედავად მან წარმატებით გაართვა თავი ყველა სიძნელეს. ერთ-ერთი მათგანი ის იყო, რომ ჟ. გურაგჩას თავდაპირველად უჭირდა ახალ ტექნიკასთან მუშაობა, მას არ ჰქონდა მფრინავის ოპერატორული ჩვევები. წვრთნის წყალობით მან შეიძინა ასეთი ჩვევები. არადა ხაზგასასმელია, რომ კოსმონავტ მფრინავებს ბევრი რამ მოეთხოვებათ — საჭიროების შემთხვევაში მათ თვითონ უნდა მართონ ხომალდი და დამოუკიდებლად დაუშვან იგი.

„სალუტ-6“ სადგურს, თქვა შემდეგ ვ. ჯანიბეკოვმა. პირველად 1978 წლის იანვარში ვეწვიე. ამჯერად გამოგვნა სადგურში აპარატურის სიმრავლემ. მარტო ხელსაწყოთა დიდი რაოდენობის მიხედვით შეიძლებოდა მსჯელობა სადგურში სამი თვის მანძილზე გაწეული მუშაობის მოცულობაზე. და ეს ბუნებრივია. კოსმოსური მეცნიერების წინაშე ახალი ამოცანები დგება. ეს კი ახალ მოწყობილობას მოითხოვს. კოსმოსში სადგურის ხანგრძლივი სამსახურის მიუხედავად იგი მუდმივად სამუშაო მდგომარეობაშია, მთელი აპარატურა ნორმალურად ფუნქციონირებს.

სიტყვა ეძლევა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კოსმონავტ მკვლევარს **ჟ. გურაგჩას.** მე, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეს, თქვა მან, წილად მხვდა დიდი პატივი — საერთაშორისო ეკიპაჟის შემადგენლობაში მონაწილეობა მიმეღო „ინტერკოსმოსის“ პროგრამით გათვალისწინებულ მორიგ ფრენაში. დიდი მადლობელი ვარ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებისა ჩემთვის გაწეული დიდი ნდობის და საპატიო ჯილდოებისათვის.

სტატი ბაიკონურის კოსმოდრომიდან, ორბიტაზე გასვლა, უწონობა განცდა, „სალუტ-6“ სადგურში მუშაობა და მშობლიურ დედამიწაზე დაბრუნება — ფრენის ყველა ამ ეტაპმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, მაგრამ ფრენისას ყველაზე უფრო დამახსოვრდა სადგურთან შეპარპირება და შეჭიდა.

ჟ. გურაგჩამ გატარებით ილაპარაკა სადგურში მოშამბაზე. ექსპედიციის დროს მოწყობილ ექსპერიმენტზე. არ დავმალავ, თქვა მან, რომ განსაკუთრებული მოუთმენლობით ველოდი „ბიოსფერო-მონ“ ექსპერიმენტს, რომელიც ითვალისწინებდა მონღოლეთის ტერიტორიის ბუნებრივ ობიექტებზე დაკვირვებას. ეს ექსპერიმენტი მოეწყო გეოლოგიის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის ინტერესებისათვის. როცა სამშობლოს გადავეფრინე, უდიდესი სიხარულისა და სიამაყის გრძნობამ შემიპყრო იმის გამო, რომ ჩემი მონღოლეთი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს მშვიდობიანი მიზნებით კოსმოსური სივრცის კვლევასა და გამოყენებაში.

დასასრულ პირველმა მონღოლმა კოსმონავტმა მადლობა გადაუხადა კოსმოსური ტექნიკის შემქმნელებს, კოსმონავტთა მზადების ცენტრის, ფრენის მართვის ცენტრის სპეციალისტებს და ყველა სხვა კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობდნენ მერვე საერთაშორისო ექსპედიციის განხორციელებაში.

შემდეგ კოსმონავტებმა და მეცნიერებმა უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებზე. (საკდესი).

მესიმინდეობა — სამრეწველო საფუძველზე

სიმინდის წარმოების ყოველმხრივი ზრდა მარცვლეულის მთლიანი მოსავლის შემდგომი გადიდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა.

საქართველოს მიწათმოქმედები მიზნად ისახავენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციას, რომელიც დასახა სკკპ XXVI ყრილობამ და ისწრაფვიან მიმდინარე წელს მიიღონ რაც შეიძლება მეტი სიმინდის მარცვალი.

ომისშემდგომ წლებში რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა დარგის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანისათვის. საკმარისია ვთქვათ, რომ უკვე მიმდინარე წელს რესპუბლიკის 42 რაიონში, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში პროგრესული ინდუსტრიული ტექნოლოგიით სიმინდს მოიყვანენ 50 ათას ჰექტარზე. ეს ფართობი ხუთჯერ აღემატება შარშანდელს.

საქართველოს მიწათმოქმედთა წინაშე მდგარი მესიმინდეობის შემდგომი განვითარების, სათუსი ფართობების სტრუქტურის სრულყოფის, მეურნეობათა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მზადყოფნის ამოცანები განიხილეს რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა, რომელიც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიმართა.

რესპუბლიკის მესიმინდეობაში ინდუსტრიული ტექნოლოგიის დანერგვისათვის წარმოებული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ზ. ჯინჭარაძემ. მოისმინეს აგრეთვე ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ არიან რესპუბლიკის მეურნეობები უზრუნველყოფილი ჰერბიციდებით, მინერალური სასუქებით, თესლით, ტექნიკით.

აღინიშნა, რომ მეათე ხუთწლეულში რესპუბლიკის მთელმა რიგმა რაიონებმა და მეურნეობებმა გამოიყენეს სიმინდის მოყვანის პროგრესული მეთოდები, ერთნახევარ-ორჯერ გაადიდეს ამ კულტურის ჰექტარობრივი მოსავლიანობა. მაგალითად, დიდ წარმატებებს მიაღწიეს ადაშელმა მესიმინდეებმა. ორი ათასი ჰექტარი სამრეწველო ნათესის თითოეულ ჰექტარზე მათ საშუალოდ მიიღეს 52 ცენტნერი სიმინდი, ხოლო რაიონის ცალკეულ მეურნეობებში — სუჯუნის, ნორიოსა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 70-80 ცენტნერს მიაღწია.

შარშან ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჩხოროწყუს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მესიმინდეებმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 96 ცენტნერი მარცვალი. უხვი მოსავალი მოიყვანეს აგრეთვე ზუგდიდის, ხობის, გორის რაიონების მეურნეობებმაც.

ეს შედეგები შემთხვევითი რომ არ არის, პრაქტიკამ დაადასტურა. შარშან, როდესაც ამინდი სოფლის მშრომელებისათვის ხელსაყრელი არ იყო, სიმინდის საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ ინდუსტრიული ტექნოლოგიით დამუშავებულ 10 ათას ჰექტარ ფართობზე შეადგინა 43,2 ცენტნერი. ეს თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე რესპუბლიკაში მიღებული იყო ახალი ტექნოლოგიის დანერგვამდე, რაც ითვალისწინებს კულტურის მოყვანის ყველა პროცესის მთლიან მექანიზაციას.

ამასთან, თათბირზე აღინიშნა, რომ მესიმინდეობაში მიღწეული ინდუსტრიალიზაციის დონე ჯერ კიდევ ვერ შეესაბამება დღის მოთხოვნებს. ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არ იცავენ სამუშაოთა ვადებს, არღვევენ აგროტექნიკურ წესებს. მარცვლეულის წარმოების მეათე ხუთწლედის გეგმა ვერ შეასრულეს წყალტუბოს ზონის, თეთრი წყაროს, სიღნაღის, ყვარლის, ლაგოდეხის, გურჯაანის, თერჯოლის, ცაგერის, ლენტეხისა და სხვა რაიონების მეურნეობებმა. ხოლო შარშან 816 კოლმეურნეობიდან და საბჭოთა მეურნეობიდან საგეგმო დავალები ვერ შეასრულა 319-მა. ორასამდე მეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე მოიწია 10 ცენტნერი მარცვალი, რაც ძალზე მცირე მაჩვენებელია.

თათბირზე აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს საჭიროა ყოველმხრივ გავაგრძელოთ სიმინდის მოყვანის ინდუსტრიული მეთოდი. მეურნეობათა ხელმძღვანელებმა სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმონ აგროწესების მტკიცედ დაცვას. აუცილებელია წინასწარ განისაზღვროს, თუ სად დაითესება სიმინდი ახალი ტექნოლოგიით, აიღონ ნიადაგის სინჯები ანალიზისათვის. მიღებული მონაცემების საფუძველზე შეადგინონ მინერალური და ორგანული სასუქების შეტანის, ჰერბიციდების ნათესების დამუშავების გეგმები. ნიადაგურ-კლიმატური პირობების შესაბამისად უნდა შეირჩეს სიმინდის ყველაზე უხვმოსავლიანი ჰიბრიდები და ჯიშები.

ძალზე მნიშვნელოვანია ყველაზე ხელსაყრელ ვადებში აწარმოონ თესვა, მტკიცედ დაიცვან საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინა.

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების, ასევე ნათესების მოვლისა და მოსავლის აღების პერიოდში მექანიზატორთა შრომის მორალური და მატერიალური სტიმულირების საკითხის გადაჭრის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს.

თათბირის მონაწილეებმა დასახეს კონკრეტული ღონისძიებები ნაკლოვანებათა გამოსწორების, სიმინდის წარმოების ინდუსტრიული ტექნოლოგიური მეთოდის შემდგომი გავრცელებისა და მარცვლეულის მთლიანი მოსავლის გადიდებისათვის.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილემ გ. კალანდარიშვილმა.

(საქინფორმი).

სრულვყოთ სოციალისტური მართლწესრიგი

პარტიის სოციალური პოლიტიკის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია მუშაობა საბჭოთა ცხოვრების წესის სრულყოფისათვის, ყოველივე იმის აღკვეთისათვის, რაც ჯერ კიდევ ხელს უშლის ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას.

7 აპრილს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც მიეძღვნა ქვეყნის შინაგან საქმეთა ორგანოების ამოცანებს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა არმიის გენერალმა ნ. ა. შჩოლოკოვმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიის სოციალური პროგრამის რეალიზაციაში არსებითად იზრდება ეფექტიანი სამართალდამცავი საქმიანობის, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის ძირეული გაუმჯობესებისა და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა პროფილაქტიკის მნიშვნელობა.

თათბირი მუშაობას განაგრძობს.

(საკდესი).

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

მშვიდობისადმი მტკიცე მისწრაფება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVI ყრილობაზე ფართო რეზონანსი გამოიწვია მსოფლიოში. საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ლ. ი. ბრეჟნევის მკაფიო შინაარსიანი სიტყვა მოწმობს საბჭოთა კავშირის ურყევ ერთგულებას მშვიდობის ლენინური პოლიტიკის პრინციპებისადმი, რომ იგი თანამმდევრულად, აქტიურად იბრძვის დაძაბულობის შენელებისათვის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, მზად არის ხელი შეუწყოს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების კონსტრუქციულ გადაწყვეტას.

გაზაფხულზე პრაღაში, წერს ჩეხოსლოვაკიის გაზეთი **„რუდე პრავო“**, კვლავ გაისმა მთელი პლანეტის ადამიანებისადმი მიმართული მშვიდობის ხმა. იგი ისმოდა ყველგან. ბრძენი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ამ მიმართვაში გამოიხატა სწრაფვა მშვიდობიანი თანამშრომლობისადმი.

ყველა განედისა და მერიდიანის მშრომელი ადამიანები, პროგრესული ძალები, რომელთაც არ სურთ ომი, ხაზს უსვამს გაზეთი, უაღრესად ფართოდ გამოეხმაურნენ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა თავის გამოსვლაში გამოხატა საბჭოთა კომუნისტების პატივისცემა სოციალისტური ჩეხოსლოვაკიისადმი, მან მაღალი შეფასება მისცა ჩვენი კომუნისტური პარტიის, ყველა ჩვენი მოქალაქის მიღწევებს. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ღრმად აისახა კლასობრივი და ინტერნაციონალური ძმობა, ერთობლივ ბრძოლაში განმტკიცებული ჩვენი ქვეყნების ურღვევი კავშირი. საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი, ამაშენებლობითი პროგრამა ჩვენი პროგრამაცაა. ჩვენ მზად ვართ პლანეტის ყველა კეთილი ნების ადამიანთან ერთად დავიცვათ და განვახორციელოთ იგი.

საბჭოთა ხელმძღვანელი, აღნიშნა პოლონეთის გაზეთმა **„ტრიბუნა ლუდუმ“**, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ყრილობაზე გამოვიდა, როგორც მშვიდობის თანამმდევრული დამცველი, მან კიდევ ერთხელ დაადასტურა და მკაფიოდ დაასაბუთა სკკპ XXVI ყრილობაზე წამოწყებული სამშვიდობო ინიციატივები. ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სიტყვის იმ ნაწილს, რომელიც პოლონეთის პრობლემებს ეხება.

როგორც ხაზს უსვამს გაზეთი, სიტყვაში ნათქვამია, რომ საბჭოთა ხალხი მორალურად და პოლიტიკურად უჭერს მხარს პოლონელ კომუნისტებს, ყველა პოლონელ პატრიოტს, რომლებიც ესწრაფვიან გადალახონ ჩვენს ქვეყანაში არსებული სიძნელეები სოციალიზმის პრინციპების სულისკვეთებით, ხალხის ინტერესების შესაბამისად.

ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთა უმაღლესი ფორუმის ტრიბუნიდან, განმარტავს ბულგარეთის გაზეთი **„რაბოტნიჩესკო დელო“**, გამოიხატა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურყევი გადაწყვეტილება, თანამმდევრულად და განუხრლად განახორციელოს მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების პოლიტიკა, სხვადასხვა ქვეყანასთან და ხალხებთან ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის კურსი. განსაკუთრებული ყურადღებით შეხვდნენ ლ. ი. ბრეჟნევის გამონათქვამებს, რომ საჭიროა ურთიერთმოქმედების შემდგომი განმტკიცება და გაფართოება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ფარგლებში. ამ დარგში უდიდესი წარმატებები გვაქვს. და ამას ვერ უარიყოფენ კლასობრივი მტრები, რომლებიც საშუალებებს ეძებენ, რათა ხელი შეუშალონ ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა, აღნიშნავს გაზეთი, პრაღაში ხაზი გაუსვა, რომ საყოველთაო მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების გზა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ურღვევი ერთიანობა და დარაზმულობა.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრეზიდენტმა რ. რეიგანმა განიხილა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა თავის თანაშემწეებთან. სი-ბი-ესის ტელეკომპანიის მიაჩნია, რომ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ასახავს საბჭოთა კავშირის მეცადინეობას, რომლის მიზანია მშვიდობის დაცვა და შეიარაღებისადმი კონტროლის ღონისძიებათა განხორციელება. საბჭოთა ხელმძღვანელმა, აღნიშნავს გაზეთი **„ვაშინგტონ პოსტი“**, კვლავ ხაზი გაუსვა, რომ სსრ კავშირი მზად არის მორატორიუმი დააწესოს ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგებაზე, რაც უფრო სასიკეთო ატმოსფეროს შექმნის მოლაპარაკებისათვის. გაზეთი **„ნიუ-იორკ ტაიმსი“** წერს: „შეიარაღების შეზღუდვის მოლაპარაკებაზე დასავლეთის თანხმობის „სანაცვლოდ“ საბჭოთა კავშირი არ დათმობს საკუთარი უშიშროების ინტერესებს“.

ინგლისელი ჯამუმეგი ირლანდიაში

დუბლინი. 600-ზე მეტი ბრიტანელი მზვერავი მოკმედებს ამჟამად ირლანდიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, წერს აქაური გაზეთი „სანდი ტრიბუნი“, რომელსაც ხელში ჩაუვარდა სიკრეტ ინტელიჯენს სერვისის ზოგიერთი დოკუმენტი.

სიკრეტ ინტელიჯენს სერვისი, რომელიც აქ თავს ისე გრძნობს, როგორც შინ, უთვალთვალებს ირლანდიის სახელმწიფო დაწესებულებებს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, პროფკავშირებს. სიკრეტ ინტელიჯენს სერვისის კადრის თანამშრომლები ხელმძღვანელობენ პროგრესულ ორგანიზაციებში აგენტურის შეგზავნას, ცენტრალიზებულ კარტოთეკაში აგროვებენ ცნობებს ათიათასობით „არაკეთილსაიმედო“ პირის შესახებ. გაზეთის ცნობით, ამჟამად ირლანდია აივსო ინგლისელი ჯაშუშებით, რომლებიც მოქმედებენ ჟურნალისტების, ბიზნესმენების, ტურისტების ნიღბით. სიკრეტ ინტელიჯენს სერვისის საიდუმლო ოპერაციებს სხვის მიწა-წყალზე ხელმძღვანელობენ ბრიტანეთის დუბლინის საელჩოში მოკალათებული მზვერავები.

ბრიტანეთის დაზვერვის დოკუმენტებმა კვლავ დაადასტურეს, რომ ინგლისის მთავრობა დღეადღამ ადევნებს თვალს თავის უახლოეს მეზობელს.

კაკიტალის სამყაროში

მწარე ხვედრი

ვაშინგტონი. ამ მოხეტიალე მუსიკოსს (სურათზე ქვემოთ) ქალაქის ცენტრში შეხვდებით. იგი დილით „პიკის“ საათებში და საღამოს შესვენების დროს უკრავს იმ იმედით, რომ გამვლელ-გამომვლელნი კაპიკს შეაწყვეტენ. ზოგჯერ გიტარის ფუტლარში ვინმემ მარილაც შეიძლება ჩაუგდოს მონეტა, მაგრამ ბევრნი გულგრილად ჩაუვლიან ხოლმე.

ეს მუსიკოსი ერთ-ერთი იმ ათასთაგანია, ვინც წარმატებაზე ოცნებობდა, დღეს კი საბოლოოდ დაკარგა მომავლის რწმენა და შემოსავლის ერთადერთ წყაროდ ქუჩაში მოსიარულეთა „გართობა“ დაუხდია. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში მასავით უმუშევრობის მწარე ხვედრს იზიარებს 8 მილიონამდე ამერიკელი, რომლებსაც მუშაობა სურთ, მაგრამ თავიანთ ცოდნასა და უნარს ვერსად ვერ იყენებენ, მილიონობით სხვა მშრომელს კი ყოველ წუთს სამუშაოდან დათხოვნის საფრთხე ემუქრება.

საკდესის ფოტო.



ოთხთა შეხვედრა

მაპუტუ. მბაბანედან მიღებული ცნობებით, სვაზილენდის დედაქალაქში გაიმართა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოსაზღვრე სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრა.

მასში მონაწილეობდნენ მოზამბიკის პრეზიდენტი ს. მაშელი, სვაზილენდის მეფე სობჰუზა II და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ფ. დლამინი, ბოტსვანის პრეზიდენტი კ. მასირე და ლესოტოს მეფე მოშეშე II.

ოთხი სახელმწიფოს მეთაურებმა, ნათქვამია შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში, ერთმანეთს გაუზიარეს აზრი სამხრეთ აფრიკაში მშვიდობისა და უშიშროების საკითხებზე, კერძოდ, დაგმეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ცდები სამხედრო პროვოკაციების გზით განახორციელოს ვითარების დესტაბილიზაცია მეზობელ ქვეყნებში.

ამ დღეებში ხანმოკლე ვიზიტად მოსკოვში იმყოფებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი, რომელიც შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს და მოლაპარაკება გამართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ წევრთან, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან ა. ა. გრომიკოსთან.

მეტად რთულ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში, როდესაც საგრძნობლად გაძაბულია დღენი „ცივი ომის“ ძალები, ხოლო ვაშინგტონიდან კვლავ გაისმის „ძალის პოლიტიკის“ ცნობილი ჰანგები, ასეთი ვიზიტის მნიშვნელობა არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის პოზიციებიდან. მოსკოვში გამართული ორდღიანი მოლაპარაკების მსვლელობაში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მხარეები შეეხნენ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს და, განსაკუთრებით, ვითარებას ევროპაში, სადაც, იგრეთ წოდებული „ევრორაკეტების“ განლაგების პრობლემასთან დაკავშირებით სამხედრო წონასწორობის დარღვევის რეალური შესაძლებლობა შეიქმნა. ამ ასპექტით უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ პოზიციას, რომელსაც არსებულ სიტუაციაში დაიკავებენ დასავლეთ ევროპის ქვეყნები, კერძოდ, დასავლეთი გერმანია.

ამ მხრივ მისასალმებელია მოსკოვში ჰ.-დ. გენშერის განცხადება, რომ ფედერალური მთავრობის საგარეო პოლიტიკის მიზანია მშვიდობა და უშიშროება, რომ იგი ევროპაში წონასწორობის შენარჩუნების, სამხედრო უპირატესობასა და ძალის გამოყენებაზე უარის თქმისა და თანამშრომლობის კურსს ადგას.

ამრიგად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარკვეული წრეები, ერთი მხრივ, იწონებენ ვაშინგტონის ახალი ადმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, ხოლო, მეორე მხრივ, აშკარად შეწუხებული არიან ევროპაში ვითარების გამწვავებით, ვინაიდან კარგად ესმით, რომ, თუ ომი ატყდა, ისინი აღმოჩნდებიან ეცეხლის წინა ხაზზე, და არა ვაშინგტონი. საერთაშორისო პრობლემებისადმი ასეთ ორჭოფულ მიდგომას მოწმობს ჰ.-დ. გენშერის მარშრუტიც, რომელმაც იგი მოსკოვში მოიყვანა.

მარტის პირველ ნახევარში გენშერი ვაშინგტონში იყო და საუბრები ჰქონდა პრეზიდენტ რ. რეიგანსა და სახელმწიფო მდივანთან ა. ჰეიგთან. ამ ვიზიტთან დაკავშირებით გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა: „დასავლეთგერმანელები, რომლებიც ცდილობენ რუსებთან კონტაქტების შენარჩუნებას, არ მალავენ შეშფოთებას საბჭოთა კავშირთან რეიგანის მთავრობის კონფრონტაციის პოლიტიკის გამო, რაც გამორიცხავს სათანადო ყურადღებას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დიალოგისადმი“.

ეს ცხადია, ბონისა და ვაშინგტონის დაპირისპირებას არ ნიშნავს. საგულისხმოა, რომ გენშერმა ჰეიგს აღუთქვა, დასავლეთ გერმანია შეიარაღების სფეროში ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებსო, მაგრამ ამავე დროს მან, ამავე „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სიტყვებით, „განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა“ საშაალო სიშორის რაკეტების შემცირების თაობაზე მოლაპარაკებისადმი.

საქმე ის არის, რომ დასავლეთ ევროპაში, ჟურნალ „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტის“ ცნობით, აღელვებთ „შეერთებული შტატების იოლი მიდგომა საერთაშორისო საქმეებისადმი, როდესაც, როგორც რეიგანი აცხადებდა, რუსეთი ბრალი მიუძღვით ყველა უწესრიგობაში, სალვადორში, ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში, აზიასა და ევროპაში რომ ხდება... მიაჩნიათ, რომ საბჭოთა საფრთხისადმი საჭიროა უფრო მოქნილი მიდგომა და არა მხოლოდ სამხედრო ძალაზე დაყრდნობა“.

ეტყობა, დასავლეთ ევროპის უკეგავლენა ვაშინგტონზე იმით გამოიხატა, რომ ა. ჰეიგი იძულებული იყო განეცხადებინა, ამერიკა მზად არის „ყველა სფეროსა და ყველა დონეზეო“. კეთილი, მაგრამ როდის? სამხედრო უპირატესობის მიღწევის თუ „საერთაშორისო ტერორიზმის“ (ანუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის) შეჩერების შემდეგ?

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხშიც დასავლეთ ევროპას შეუძლია საკუთარი სიტყვის თქმა, თუ, ცხადია, იგი ამას მოისურვებს.

* * *

